



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 160

ქალაქი ქუთაისი                    27                    მარტი                    2019 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვესტ პოინტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 20 მარტის №01/6739 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი ჭიღვარიას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვესტ პოინტისათვის“ (ს.კ. 404530833), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ირ.აბაშიძის გამზირის გზის მარჯვენა მხარეს მდებარე სკვერის ნაწილის (ფართობით: 105,00 კვ.მ. 277,00 კვ.მ. და 371,00 კვ.მ. სულ 753,00 კვ.მ. საკადასტრო კოდი №03.01.22.182) 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

**მუხლი 2.** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვესტ პოინტმა“ (ს.კ. 404530833) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება (ფართობით: 105,00 კვ.მ. 277,00 კვ.მ. და 371,00 კვ.მ. სულ 753,00 კვ.მ. საკადასტრო კოდი №03.01.22.182) გამოიყენოს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ჟ.შარტავას ქუჩა №2, საკადასტრო კოდი №03.01.24.756) მისასვლელი გზის მოსაწყობად.

**მუხლი 3.** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვესტ პოინტი“ (ს.კ. 404530833) ვალდებულია მოახდინოს სარგებლობაში გადაცემული ფართის დარჩენილი ნაწილის (ფართობით 12911,0 კვ.მ.) სკვერის ფუნქციით განაშენიანება და მოვლა-პატრონობა.

**მუხლი 4.** ქონების წლიური საიჯარო ქირა განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების 06.02.2019 წლის №38 ხელშეკრულებით გამარჯვებული ინდივიდუალური აუდიტორის, დავით რობაქიძის დასკვნის (№002/5-1 დ.რ. 19.02.2019 წელი) საფუძველზე, რომელიც 1 კვ.მ. სკვერისათვის შეადგენს 17,30 ლარს. სულ საიჯარო ქირა შეადგენს 13027,0 (ცამეტი ათას ოცდაშვიდი) ლარს.

**მუხლი 5.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 6.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 7.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრადის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 8.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია